№ 01/2 „08“ 01 2013

ბრძანება

სს „სილქნეტის“ „რეგიონალური მომსახურების ცენტრის“ დირექტორებისათვის, გაყიდვების დეპარტამენტის უფროსისათვის და კორპორატიული გაყიდვის მენეჯერებისათვის რიგ დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს რეგიონებში, სს „სილქნეტის“ აბონენტთა მომსახურების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანების დანართი #1–ში აღნიშნულ პირებს – სს „სილქნეტის“ „რეგიონალური მომსახურების ცენტრის“ დირექტორებს, გაყიდვების დეპარტამენტის უფროსს და კორპორატიული გაყიდვის მენეჯერებს, მიენიჭოთ უფლებამოსილება, სს „სილქნეტის“ სახელით ხელი მოაწერონ შემდეგის სახის დოკუმენტაციას:
   - სს „სილქნეტის“ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისა და პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით, რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ იურიდიულ პირებთან *(მათ შორის, ინდ. მეწარმესთან, სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან)* გასაფორმებელ ხელშეკრულებებს, მათთან დაკავშირებულ შეთანხმებებს და დანართებს.
   - ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის დამადასტურებელ მიღება–ჩაბარების აქტებს.
   - რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ იურიდიულ პირებთან *(მათ შორის, ინდ. მეწარმესთან, სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან)* ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მოწყობის, მოწყობილობის დაინსტალირების და მათ დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტის დამადასტურებელ მიღება–ჩაბარების აქტებს.
2. გაყიდვების დეპარტამენტის უფროსს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს, მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 10,000 (ათი ათასი) ლარს,
3. VIP გაყიდვების განყოფილების უფროსს და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოთ, მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 2,000 (ორი ათასი) ლარს.
4. SME გაყიდვების განყოფილების უფროსს, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოთ, მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 1,000 (ერთი ათასი) ლარს.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს, გენერალური დირექტორის მოადგილეს კომერციულ დარგში – ნუგზარ ჩინჩალაძეს
6. წინამდებარე ბრძანება ძალაშია მისი სათანადო წესით რეგისტრაციის დღიდან.

გენერალური დირექტორი ზურაბ კოსტავა

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 100000 Fax: (+995 32) 2 100001